

მტკიცებულებათა დაშვების საკითხი წინასასამართლო
სხდომაზე

ლია ბრეგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლია ბრეგაძე

30.06.2020 წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მტკიცებულებათა დაშვების საკითხი წინასასამართლო სხდომაზე, რაც შეჯიბრებითი სამართალწარმოების პირობებში გარდამტეხ როლს ასრულებს, იმდენად რამდენადაც სწორედ აღნიშულ ეტაპზე ხდება მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებების შეფასება სასამართლოს მიერ, საბოლოოდ კი საქმის ბედი სწორედ წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული.

კვლევის მიზანია წარმოჩინდეს წინასასამართლო სხდომის ეტაპზე მტკიცებულებათა დასაშვებობასა თუ დაუშვებლობისათან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები, განისაზღვროს მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები, სტანდარტები და დადგინდეს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის უფლებამოსილებები მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების პროცესში.

ნაშრომში დასახელებული პრობლემატური საკითხების სიღრმისეულად შესწავლისა და მათი გამომწვევი მიზეზების უკეთ წარმოჩენის მიზნით გამოყენებულ იქნა შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, აღწერით-მიმოხილვითი კვლევის მეთოდები.

განხორციელებული კვლევის შედეგად წარმოჩინდა, რომ შეჯიბრებითი სამართალწარმოების დანერგვით მიღებული შედეგების შეფასება წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დაშვების საკითხის გადაწყვეტის კუთხით კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, ვინაიდან მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სრულყოფილად ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს რის წინაშეც ჩვენი ქვეყანის სამართლებრივი სისტემა დგას. მართალია, ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები დადებითად ფასდება კრიტიკოსთა მიერ, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დღემდე შეიცავს არაერთ ნაკლებად განჭვრეტად ნორმას, რომელთა საფუძველზეც სასამართლო პრაქტიკაში შესაძლოა არაერთგვაროვანი მიდგომა ჩამოყალიბდეს მტკიცებულებათა დაშვების თუ

წინასასამართლო სხდომის მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრის თვალსაზრისით და საფრთხე შეექმნას ისეთ ფუნდამენტურ მიზანს, როგორცაა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. აღნიშნულის თაობაზე ნაშრომში გაცემულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც გარდა ავტორის პირადი შეხედულებისა, ეფუძნება ასევე სხვადასხვა კვლევებს, საერთაშორისო პრაქტიკას და დაეხმარება სისხლის სამართლის დაინტერესებულ სტუდენტებსა და პრაქტიკოს იურისტებს.

სამიუბო სიტყვები: შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მტკიცებულებათა დაშვება, წინასასამართლო სხდომა.

Abstract

In this work is discussed the issue of admission of evidences at the pre-trial session, which plays a major role in the criminal proceedings under the adversary proceedings.

The objective of the work is to demonstrate the admissibility or inadmissibility of evidences at the pre-trial session based on a detailed analysis of local or international legislative data or a detailed review of forensic practices, linked legal issues, to identify the criteria, standards, and determine the authorisations of the pre-trial session judge during the evaluation of the evidences, submitted by the parties.

For the purposes to fundamentally examine and identify the problematic issues listed in this work are used relatively legal, historical, descriptive-observatory survey methods.

The research demonstrated that assessment of the results obtained by the implementation of the adversarial proceedings, requires a complex approach for resolving the issue of admission of evidences at the pre-trial session, since the applicable criminal procedural legislation does not fully respond to the challenges facing the legal system of our country.

The legislative changes that have been made in recent years were intended for strengthening the adversarial principle that were evaluated by critics positively, however, the survey found that the Criminal Procedure Code still contains a number of less foreseeable norms, on the basis of which a divergent approach may be formed in court practice in terms of determining the scope of evidences or the judge's authority that may endanger the fundamental objective of the case.

The relevant findings and recommendations were issued in this research work, which are based, except for the author's personal views, on various studies, international practice and they are intended for the students interested in criminal law and practitioner lawyers.

Key words: adversarial principle, equality rights of the parties, right to a fair trial, admission of evidences, pre-trial session.